ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მალვინა ბურძენიძე**

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე'' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო-ახალციხე''

კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი - 2021 წლის 03.12-დან 2022 წლის 01.11 მდე.
ანგარიშის ტიპი - რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   03.12.2021 წ.-დან 01.11.2022წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14

   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 14

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2021– 2022 წელს:
   - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 6, ესწრებოდა - 5 სხდომას;
   - საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 10, ესწრებოდა - 8 სხდომას.

   მ/შ დროებითი კომისიები:

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3 სხდომა

   ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3 სხდომა

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები - 0.
5. ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - დადგენილება - 0; ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს - 0 განკარგულება.

6. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
   - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საზოგადოებრივი დარბაზის შექმნის თაობაზე.
7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 4.

   მოსახლეობასთან შეხვედრები ხორციელდება სისტემატიურად, როგორც სამუშაო ადგილზე-ყოველდღიურად, ისე გასვლით შეხვედრებზე.

   შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 10-15 მოქალაქე თითოეულ შეხვედრაზე.

   მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

   ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.
8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

   მოქალაქეთა შეხვედრებზე გამოთქმული პრობლემებიდან გამომდინარე მიმდინარეობს კონსულტაციები შესაბამის კომპეტენტურ პირებთან შემდგომი რეაგირების მიზნით.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა
   - თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, მასმედიასთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.
     - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გავეცანი, ქ. ახალციხეში რუსთაველის ქუჩა № 124-ში, სპორტული კომპლექსის, ახალგაზრდული ცენტრისა და სკვერის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას, ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში ტურისტული ინფრასტრუქტურის, სპორტული და საბავშვო გასართობი მოედნების, საფეხმავლო ბილიკების, ტბასთან მისასვლელი გზის პროექტის განხორციელებას, ასევე სპორტული კომპლექსის მშენებლობას.
     - ვმონაწილეობდი საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მე-8 ყოველწლიურ კონფერენციაზე.
     - სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ა(ა)იპ-ს თანამშრომლებთან, ვეტერანებთან, ომში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებთან და რიგით მოქალაქეებთან ერთად მივიღე მონაწილეობა ცენტრალურ

პარკში გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნებოდა აგვისტოს ომში გარდაცვლილთა ხსოვნას.

- ვესწრებოდი „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრას. სადაც, შეხვედრის ფარგლებში, ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე, არსებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, მიმდინარე მოვლენებზე და ძირითად პრიორიტეტებზე ვიმსჯელეთ.
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალთან პატივი მივაგეთ თავისუფლებისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას.
- ვესწრებოდი ახალციხის მუნიცაპალიტეტის სოფელ მუსხში, სკოლა-მუზეუმისა და მუსხის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გამართულ ერთობლივ ღონისძიებას.
- ვესწრებოდი „ახალციხის ციხეზე“ გამართულ სახალხო დღესასწაულს, სადაც სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები გაიმართა.
- მივიღე მონაწილეობა ,,ვარდისფერ ოქტომბერის“ საერთაშორისო კამპანიის ფარგლებში ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, ქალაქ ახალციხის სკრინინგ ცენტრისა და მერიის კულტურის, გენდერული თანასწორობის განყოფილების წარმომადგენლების ინიციატივით, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებთან გამართულ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაში, რომელიც ეძღვნებოდა მოსახლეობის ცნობიერების გაზრდასა და თითოეული ჩვენგანის ჩართულობას ძუძუს კიბოს დროული დიაგნოსტიკისა და პრევენციას. აღნიშნული შეხვედრის პარალელურად ახალციხის სკრინინგ ცენტრში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალბატონებისთვის უფასო გამოკვლევები ჩატარდა.

შევსების თარიღი 28.10.2022

წარდგენის თარიღი 28.10.2022

ხელის მოწერა---ქ. ბერიტაშვილი---